Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-10-28 22:03

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 28 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

I ნაწილი
(სამშვიდობო ძალების სარდალი მამუკა ყურაშვილი)

2008-10-28 22:03

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 28 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაია

თავმჯდომარე. მოგესალმებით ყველას. კომისია უფლებამოსილია დაიწყოს მუშაობა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ყურაშვილს მობრძანებისათვის. როგორც იცით, შექმნილი არის საპარლამენტო დროებითი კომისია აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, თქვენ მზადა ხართ თუ არა ითანამშრომლოთ კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

მ.ყურაშვილი. აუცილებლად.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა. კითხვები იქნება დასმული ბლოკების მიხედვით,რამოდენიმე კითხვა და თქვენ გასცემთ პასუხს. მერე შემდგომ აი ასეთ ფორმატში იქნება მუშაობა. სანამ დაისმება ძირითადი კითხვები, ბატონო მამუკა, ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა ხდებოდა აგვისტოს მოვლენებამდე, თქვენ, როგორც სამშვიდობო ძალების სარდალი ქართული მხრიდან უნდა ფლობდეთ ინფორმაციას, თუ რა ხდებოდა აგვისტოს მოვლენებამდე, როგორ ხდებოდა ესკალაცია ამ კონფლიქტის, რა ინფორმაციებს ფლობდით თქვენ, რა კონტაქტები გქონდათ თქვენ სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან, იგივე, ოსური მხრიდან და იგივე რუსული მხრიდან, ვის აყენებდით საქმის კურსში, არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, როცა იძაბებოდა ეს მდგომარეობა, აგვისტოს მოვლენებამდეა საუბარი, და ვთქვათ, ვის აყენებდით და ვის აწვდიდით ამ

ინფორმაციას. ჯერ ამ კითხვაზე რომ გაგვცეთ პასუხი. თუ არის კიდევ დამატებითი კითხვები.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო მამუკა, თუ შეიძლება მოგვახსენოთ, როდიდან ხართ სარდლის თანამდებობაზე დანიშნული, რომელი წლიდან, რომელი ბრძანების თანახმად, ვის მიერ იქნა გამოცემული ეს ბრძანება, ანუ პრეისტორია თქვენი ამ თანამდებობაზე დანიშვნისა.

თავმჯდომარე.თუ არის კიდევ შეკითხვები? დიახ, გვარები დავასახელოთ.

ა.მინაშვილი. გმადლობთ, ბატონო მამუკა მობრძანებისათვის. ორი კითხვა მექნება. ერთი, თუ რა ხდებოდა, უშუალოდ, აგვისტოს პირველი დღეებიდან 7 აგვისტომდე, მათ შორის,რა ადამიანური ზიანი მიიღო ქართულმა სამშვიდობოებმა და მეორე, აი ეს, ყველასთვის ცნობილი განცხადება კონსტიტუციური წესრიგის აღდგენასთან დაკავშირებით. ვინ მოგცათ ასეთი განცხადების გაკეთების ბრძანება იმ დღეს. დიდი მადლობა.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო მამუკა, მე ესეთი შეკითხვა მექნება, გამომდინარე თქვენი თანამდებობიდან, თქვენ , ალბათ, ხშირი კონტაქტი გქონდათ რუს სამშვიდობოების ხელმძღვანელთან, ბატონ კულახმეტოვთან. მე მაინტერესებს, კულახმეტოვთან საუბრები აგვისტოს დასაწყისიდან 7 აგვისტომდე, იყო თუ არა, რა სახის იყო და იყო თუ არა რაიმე მიმანიშნებელი იმაზე, რომ რუსეთი რაიმეს გეგმავდა. თქვენ გქონდათ თუ არა რაიმე ინფორმაცია და ხვდებოდით თუ არა, კულახმეტოვთან ურთიერთობაში, იყო თუ არა ცვლილებები და აი, საერთოდ, კულახმეტოვთან და რუს სამშვიდობოებთან ურთიერთობა აგრესიამდე, ბოლო პერიოდში.

თავმჯდომარე.მაშინ ჯერ ბატონმა მამუკამ გასცეს პასუხი და დაამატებთ, თუ ჯერ გასცეს და მერე. ჰო, კარგი.

მ.ყურაშვილი. პრეისტორიას მოვყვები, ბატონო თავმჯდომარევ. ე. ი. ესკალაცია უკვე მარტის თვიდან შეინიშნებოდა კონფლიქტის ზონაში. ეს იყო უკვე თავხედური გამოხტომები ბანდფორმირებების. უშუალოდ, ამას წინ უძღოდა ის, რომ ზარის გზა, თქვენ როგორც მოგეხსენებათ, კონფლიქტის ზონაში იყო უკონტროლოდ. არანაირად ეს კონტროლზე არ აჰყავდათ იმიტომ, რომ ჩემი სამუშაო დღე იწყებოდა და თავდებოდა იმითი, რომ კეხვის საგუშაგო გუფთის ხიდზე აწეულიყო და ეს გზა კონტროლს დაქვემდებარებოდა, რომ ეს არ შემოდინებულიყო, ეს იარაღი უკონტროლოდ, ბანდფორმირებების გადაადგილება, დაქირავებული მკვლელების, ტელევიზიითაც ხშირად ვაკეთებდი ამაზე განცხადებას. მიუხედავად ამისა ტყვია–წამალი შემოჰქონდათ, შემოდიოდა ხალხი, რომელიც, საერთოდ კონფლიქტის ზონაში წარმოუდგენელი იყო მათი ყოფნა, არანაირი ნორმატიული აქტებით ეს არ შეიძლებოდა და დაუშვებელი იყო. თვითონ კონფლიქტის ზონაში იყო ორი რუსული სამშვიდობო ბატალიონი, როგორც მოგეხსენებათ, ბატონო თავმჯდომარევ, ამას ოსური ერქვა, ეგრეთ წოდებული, ალანიის ბატალიონი, რომელიც აგრეთვე დარღვევით დაკომპლექტებული ჰყავდათ ცხინვალელებით. ეს ყოვლად დაუშვებელი იყო ყველა ნორმატიული აქტებით იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც თავის თავს სამშვიდობოებს უწოდებდა დილით, ისინი ხდებოდნენ საღამოს, ღამით უკვე ქალაქის დამცველები. ასე ჰყავდათ დაკომპლექტებული. 1120 კაცამდე გადიოდა პირადი შემადგენლობა, 560–560 კაცი ჰყავდათ, მაგათი ტექნიკა 22 ერთეული თითო ბატალიონში. თვითონ ურთიერთობას რაც შეეხება, ბოლო მოვლენებიდან გამოვყვეთ, მაისის თვიდან მე თვითონ ფრიევთან, ეს იყო უფროსი სამხედრო მეთაური, старший воинский начальник, ეგრეთ წოდებული, და იყო ქართული მხრიდანაც старший воинский начальник. მე ჩემის მხრიდან მინდა გითხრათ და ბრძანებას მე შემდგომში მოვიშველიებ და გეტყვით მე, რომ ვიყავი, ესე იგი, თანამდებობაზე როგორც უფროსი სამხედრო მეთაური დანიშნული, სადღაც ოქტომბრის თვიდან, ბრძანებით ზუსტად გეტყვით,თქვენს კითხვას ვცემ პასუხს, მე ვიყავი სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსი და არანაირად კულახმეტოვს არ ვექვემდებარებოდი, კულახმეტოვს ექვემდებარებოდა უფროსი სამხედრო მეთაური. იყო ერთ–ერთი ექსპერტის მხრიდანაც გაჟღერებული, რომ ეს ექვემდებარებოდა ბატონი გენერალი და ....

თავმჯდომარე. ბატონო მამუკა, დავაზუსტებ. უფროსი სამხედრო, ეს ქართული მხრიდან, ხომ სწორია?

მ.ყურაშვილი. ქართული მხრიდან და ოსურ მხარესაც ესე ეწოდებოდა და სარდალი იყო კულახმეტოვი.

თავმჯდომარე. ჰოდა, ქართული მხრიდან, ვინ იყო მაშინ იმ ჯგუფის წევრი?

მ.ყურაშვილი. პოლკოვნიკი ურუშაძე.

თავმჯდომარე. პოლკოვნიკი ურუშაძე.

მ.ყურაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. ჩაიწერეთ ეს ოქმში.

მ.ყურაშვილი. პოლკოვნიკი ურუშაძე, რომელიც უშუალოდ იყო ადგილზე, ცხინვალში წარმომადგენლობა გვყავდა, შიგ ცხინვალში 19 კაცი თვითონ შტაბის, გაერთიანებულ შტაბში შიგნით, სამშვიდობოებში. აქედან გამომდინარე, როგორც ესკალაცია მიდიოდა კონფლიქტის, ოსურ მხარესთან რამის მიღწევა და ეს ყველაფერი თავის მოტყუება იყო. თუნდაც, ფორმატი ავალებდა იგივე ფრიევს, რომ უშუალოდ ჰქონოდა უფლება, რომ იგივე მონაწილეობა მიეღო მხარეების დაშორებაში და თქვენ გახსოვთ, არაერთხელ, რომ მოვითხოვდი მეღვრეკისის საგუშაგო, რომელიც ყოვლად უკანონო იყო, 2004 წლის გადაწყვეტილებით "ესკაკა", ეგრეთ წოდებული, სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თანათავმჯდომარეები აყენებენ საგუშაგოს და მე ციტირებას გავუკეთებ: В случае стабилизации старший войнский начальника имеют право снять. მე ვეუბნებოდი ყოველთვის კულახმეტოვს, რომ თუ სტაბილიზაცია არ არის, მაშინ რატომ ხართ საერთოდ, კონფლიქტის ზონაში, რა გინდათ თქვენ, მიმღები ქვეყანა იყო საქართველო ამ ყველაფრის, ხომ, თუ ისა, მოაშორეთ და გადაიტანეთ ერგნეთში, თუ დამდგარიყვნენ დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუაში, საიდანაც ესკალაცია იყო ყოველთვის, დაძაბულობა, 80% სროლების მოდიოდა ერგნეთზე. ეხლა რა ხდებოდა, წლების მანძილზე მეღვრეკისის საგუშაგოს ვიზუალური კონტაქტი არ ჰქონდა ამ სროლებთან, მარტო ხმა ესმოდა და ძალაუნებურად წლების მანძილზე ეწერებოდა ქართულ მხარეს ეს სროლები. იმიტომ, რომ ვერ ხედავდნენ, გამოსროლის ხმას, რასაც გაიგონებდნენ, და პროტოკოლები დგებოდა, მონიტორინგის დასკვნები ერგნეთს... როგორც კი...

თავმჯდომარე. მამუკა, დავაზუსტებ, იმ პროტოკოლების იმ დასკვნებში, რომელიც იყო...

მ.ყურაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. რომელიც დგებოდა ამაში ღებულობდით მონაწილეობას თქვენ, თუ პოლკოვნიკი ურუშაძე. ვინ აწერდა ოქმს, სადაც დგინდებოდა, რომ მათი მხრიდან ხდებოდა გასროლები და ეს და ვის მიეწოდებოდა ეს.

მ.ყურაშვილი. მაგ შემთხვევაში იყო უფროსი დამკვირვებელი, ბატონო თავმჯდომარევ, რომელიც უშუალოდ მიყვებოდა მონიტორინგს და თუ პარალელური მონიტორინგები ხდებოდა ჰყავდა თანაშემწე, რომელიც უშუალოდ ადგილზე გადიოდა ან ეთანხმებოდა მომხდარ ფაქტს, ან არ ეთანხმებოდა და ამით ხელი არ ეწერებოდა ქართული მხარიდან და...

თავმჯდომარე. არა, ვის ეგზავნებოდა ეს დოკუმენტი.

მ.ყურაშვილი. ჩვენ ვაგზავნიდით, როგორც უშუალოდ გვეკუთვნოდა, თანათავმჯდომარე ჩვენი მხრიდან, ბატონი დიმა მანჯავიძე და რეინტეგრაციის, ბატონ იაკობაშვილთან.

თავმჯდომარე. სახელმწიფო მინისტრთან რეინტეგრაციის საკითხებში, და . . .

მ.ყურაშვილი. და პარალელურად შტაბში.

თავმჯდომარე. გენერალურ შტაბში.

მ.ყურაშვილი. კი, ჯერ–3, გენშტაბი,

თავმჯდომარე. უშიშროების საბჭო?

მ.ყურაშვილი. ეგ უკვე . . .

თავმჯდომარე.ეს ორი უწყება, ესე იგი, გენერალური შტაბი და სახელმწიფო მინისტრი. ეს დავაზუსტე, რომ იყოს. . .

მ.ყურაშვილი. როგორც კი ეს დროებითი საგუშაგო გამოჩნდა, ძლივს მივაღწიეთ და დავაყენეთ, წამოვიდა უკვე მონიტორინგები– ცარზი, მამისაანთუბანი, ასფალტის ქარხანა, ტრაქტორის ქარხანა. პირდაპირ დაფიქსირება წავიდა, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დამრღვევი უშუალო მხარე იყო ოსური მხარე. შესაბამისად, მოითხოვდა მონიტორინგს. ეხლა, რა ძალები არის იქ განთავსებული ასეთი, რომ ასეთ თავხედურ გამოვლენას ჰქონდა ადგილი. ყველა მისვლაზე ვლინდებოდა, რომ იქ იყო "აპალჩენია". მე მოვუწოდებდი იმ წუთიდან, რომ

მე რამენაირად მიმეღწია, რომ ამ ხალხს ეს იარაღი დაედო, იმიტომ, რომ ქართულ მხარეს იყო 3 ფაქტორი, იყო სამშვიდობო კონფლიქტის ზონაში, იყო სამართალდამცავი ორგანოები, და ფაქტორი, რომელიც იყო ბანდფორმირებად წოდებული ან ეგრეთ წოდებული "აპალჩენია" მათი მხრიდან. ქართულ მხარეს დიდი ხნის წინ ჰქონდა ეს პრობლემა გადაწყვეტილი, და მე კულახმეტოვს ვეუბნებოდი, რომ აქ არანაირი ბანდფორმირებები არ არის, უფრო მეტიც, აღმშენებლობის პროცესი, რაც წავიდა ხეობაში მთლიანად, სამივე ხეობას ვგულისხმობ, იქ უბრალოდ, უსაქმური ხალხის ნახვაც ძნელი იყო, ყველა დასაქმებული იყო და ამით საბაბი ეცლებოდა რუსულ მხარეს და ვეღარ აბრალებდა უკვე ქართველს, რომ აი იქ ვიღაცა ნასვამი იყო და იმან გამოისროლა. და საფრთხე იყო ამ "აპალჩენიაში" პირდაპირ. სუყველას ეხლა დარიგებული ჰქონდა ეს საბუთები, მონიტორინგზე რომ გავდიოდით.

მონიტორინგი თვითონ, როგორც ასეთი, თუ მათ ინტერესში არ იყო ფერხდებოდა, ვერ ვაღწევდი. მე, აი, ვეუბნებოდი, რომ ეხლა მე მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ, ვთქვათ, იმ ძველეთში არის აღმოჩენილი ზეუ–23. "Вот сейчас они на обеде, вот". გვიჭიმავდა. მიუხედავად მაგისა მოვახერხე მე ეს, როგორც იქნა, ამოვიღე ეს. სხვათა შორის, ეს ოსური მხრიდან მოთხოვნილი მონიტორინგი იყო ზნაურის რაიონში და მე მერე გადმოგცემთ, ბატონო თავმჯდომარეე, ამ მონიტორინგის დასკვნას, და შემთხვევით წააწყდა მონიტორინგის ჯგუფი. იქ უცბად ალყა დაგვარტყეს, მე გამომიძახეს უშუალოდ და მივედი და აღარ დავთმე იქ იმიტომ, რომ ჩემი თვალით ნანახი მყავდა, როგორც გვევალებოდა, ჩვენ თვითონ ხელშეკრულებით უნდა ამოგვეყვანა ეს ‘‘ზევუ’’ და ე.წ. "ვერხნი გარადოკში" უნდა კონსერვაციაზე დამდგარიყო.

სადღაც ერთი კვირა იყო გასული ამ შემთხვევის მერე, მე გეუბნებით ამას აპრილის თვეში, 2007 წლის, ვეუბნები, რომ ვითხოვ შენს ნაწილში მონიტორინგს. არ მოეწონათ, ჩემი, ნიქოზის ბატალიონის შტაბიდან პირდაპირ მოსჩანდა ეს "ვერხნი გარადოკი", სადაც ეს პარკი იყო, იქ ჩანდა, სად მიაყენეს და სად დააყენეს. მე ეს დავიმახსოვრე და მერე განლაგება არ მომეწონა ამისი. ნუ, მე ვიფიქრე, რომ ეხლა, უკვე ეჭვი მქონდა, რომ დაუბრუნეს რუსულ მხარეს და რახან არ დამიშვეს, მე საფუძვლიანად ვუთხარი, რომ შენ უკან გაქვს ისევ ოსებზე მიცემული ეს ყველაფერი, ანუ ამიხსენი, როგორ მოხდა ეს ზეუ–23 ბანდფორმირებების ხელში თუ ზარის გზა არ გამოიარა, კეხვი, თამარაშენი და ეს ცენტრალური გზა ჩამოიარა? არ ჩამოუვლია, ე.ი. ზარის გზიდან ეს არის უკონტროლო გზა.

ითხოვს "პოსტის" დაყენებას. ერთი სასიცოცხლო გზა გვაქვს ჩვენ, ქართველებს, შემოვლითი გზა, დიდი და პატარა ლიახვის ხეობას რომელიც აკავშირებდა, ბატონო თავმჯდომარეე, და გახშირდა ამ სასიცოცხლო გზაზე თავდასხმები. მე კიდევ ამას მოგახსენებთ დაწვრილებით, ბატონი დიმაც ააფეთქეს იმ გზაზე და ასეთ, სასიცოცხლო გზას ეძახოდნენ ოსები. ჩვენი კონტროლდებოდა, იქ არ კონტროლდებოდა. ყველა გზა, შემავალი კონფლიქტის ზონაში, დანარჩენი საქართველოდან ყველაფერი კონტროლზე იყო აყვანილი. ეს არავინ არ თქვას, რომ რაღაცა, არ შეეძლო იმას კონტროლი დაეწესებინა ან საგუშაგო არ იდგა ან ვიღაცას რაღაცის... შეეტანა იქ, წარმოუდგენელი იყო ასეთი რაღაცა. იქიდან ვერ ვფლობდით, მაქსიმალური ჩვენი ათვლის წერტილი იყო კეხვი, კეხვში ავიდოდით, კეხვი იყო ხეობაში განთავსებული, არანაირი ვიზუალური კონტაქტი არ გვქონდა, არანაირი რეაგირების საშუალება არ გვქონდა და იქიდან 6 კმ ჩრდილოეთით, უკვე ქურთის ხიდზე ხდებოდა ის, რაც ფეთქებადსაშიში იყო თვითონ კონფლიქტის ზონისთვის და მიჰყავდა სავალალო შედეგამდე და მივედით 8 აგვისტომდე.ყველა დღე იყო ფაქტიურად დაძაბული. მე ეხლა, განსაკუთრებულად, თქვენ, აი, უფრო მოიხსენიეს, რომ აგვისტომდე ,რა ხდებოდა. ფაქტიურად 6 აგვისტო იყო ყოველი მე–2 დღე ჩემთვის და პირადი შემადგენლობისთვის, ვინც იყო კონფლიქტის ზონაში განთავსებული. თქვენ ხშირად ჩამობრძანდებოდით დეპუტატებო და ხედავდით იქ მოსახლეობასთან ერთად ხშირად მინახიხართ ჩამობრძანებულები და რა დღეში იყვნენ და როგორ იყვნენ და თვითონ ნიქოზის დაბომბვა თქვენ გახსოვთ, ახლა უბრალოდ, ნიქოზზე გადავედი, გამოწვეული იყო, რომ იძახოდნენ, რომ ცხინვალი დაიბომბა. ცხინვალში მონიტორინგი ჩატარდა, სხვათა შორის, მივაღწიე მე მაგას და იქ...

თავმჯდომარე. დააფიქსირეთ, ძალიან გთხოვთ, აი, რომ რომელ დღეზეა საუბარი ცხინვალის მონიტორინგზე.

მ.ყურაშვილი. ცხინვალის მონიტორინგი იყო 4 აგვისტო. ატეხეს ამაზე ერთი ამბავი, გამოვარდნენ და დაიწყეს, რომ ესო, ცხინვალში არის ჩამოვარდნილი რაღაც ყუმბარაო, ვერაფერი ვერ აღმოაჩინა მონიტორინგმა, მერე გადმოვიდნენ , ქართული სოფლები ნახეს, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ავნევი, ნული. ჩვენ შემდგომში, ქალბატონ ეკას ზღულაძეს ჰყავდა ჩამოყვანილი დიპლომატიური კორპუსი და უშუალოდ, ნახეს. უფრო მეტსაც გეტყვით, მოსახლეობის ნათქვამიდან და უშუალოდ, საგუშაგოზე განთავსებულები, ვინც იყვნენ, სასაფლაოზე, ზემო ნიქოზში, პირდაპირი ტრაექტორია ჩანდა რუსების საგუშაგოდან. როგორ იყო ნასროლი იქ ,ძნელი გამოსათვლელი არ იყო. იქ ხვდებოდა ჯებირებს და იქიდან გამომდინარე ჩანდა ეს სექტორი ....

თავმჯდომარე. დავაზუსტებ, ეს ყველაფერი, რასაც თქვენ ჰყვებით, დოკუმენტალურად თქვენ მიერ მოხსენებითი ბარათის სახით ან რაღაც სხვა ან პატაკის სახით, რა ვიცი,რა ფორმაც ჰქონდათ, ახსენებდით თუ არა გენერალურ შტაბს.

მ.ყურაშვილი. კი, რა თქმა უნდა, აუცილებლად. ერთ–ერთი ეს ძირითადი საბუთი იყო მონიტორინგის დასკვნა, ბატონო თავმჯდომარეე, რომელსაც აწერდა ხელს ოთხი მხარე.იყო ოსური მხარე,

რუსული, ჩვენ და დამკვირვებელთა საბუთით იყო ეუთო წარმოდგენილი და ეს იყო საწყისი დოკუმენტი, რომელზეც სუყველა ჩერდება.

თავმჯდომარე. ეს ოქმის, მაგრამ სიტუაციის დაძაბვასთან დაკავშირებით.

მ.ყურაშვილი. დაძაბვასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, აუცილებლად, აუცილებლად ისე ,რომ არც არანაირი უფლება არ ...

თავმჯდომარე. არა, ეს იყო სიტყვიერი თუ დოკუმენტით.

მ.ყურაშვილი. დაძაბულობა, თვითონ?

თავმჯდომარე. დიახ, ვთქვათ, რასაც თქვენ ახლა ყვებით.

მ.ყურაშვილი. ყოველ ორშაბათს ვაგზავნიდით ჩვენ მოხსენებას. ეს იყო, ჯერ–3–ში, ჯერ–3 იყო , რომელიც შტაბში იყო ეს დაკავებული და ჩვენ ეს მოხსენებები მოგვდიოდა ცხინვალიდან და მე უშუალოდ უკვე თბილისში მქონდა შტაბი, იმიტომ, რომ სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსი ვიყავი და არა სარდალი. სარდალი არის ცნება, მოტანილი, არ ვიცი ახლა, რამდენჯერაც მკითხავდნენ, ვეუბნებოდი, მაგრამ მაინც აპელირებას სარდალზე აკეთებდნენ ყოველთვის. იყო შემოვლით გზაზე აფეთქება,უკვე ბიჭები აგვიფეთქეს მანდ, იყო 8 ივლისი, დისტანციური პულტით. შემოჭრილი იყო ექვსკაციანი ჯგუფი უკვე, 2 აგვისტოს შემოვიდნენ ესენი და იქ უნდოდათ დანაღმვა შემოვლითი გზის, დროულად სარაბუკზე. ე.წ. სარაბუკზე განთავსებული იყო სამშვიდობოების საგუშაგო ჩვენი, რომელიც სრული ნორმების დაცვით, უშუალოდ, წერილობითი მიმართვით კულახმეტოვზე, თანათავმჯდომარეებზე, სუყველას ვეუბნებოდი, რომ აქ საგუშაგო დგება, მობრძანდით, მონიტორინგის თანდასწრებით დადგა და ყველა შეიარაღება შეამოწმეთ. ეს არ იყო უკანონო საგუშაგო. .... შემთხვევაში შეეძლოთ, უფრო სამხედრო მეთაურებს, აი იმ შემთხვევაში ურუშაძემ მოელაპარაკა კულახმეტოვს და ჩვენ საფრთხე, ოსები დაიკავებენ იმ სიმაღლეს და როგორც წესი, დომინირებული სიმაღლეები კონფლიქტის ზონაში, როგორც მოგეხსენებათ, და იცით თქვენ კარგად, რომ 2004 წლის მერე განსაკუთრებულად ოსები დადგნენ, ყველა ქართულ სოფელს ზევიდან ედგნენ, აქ მაგას ვერ დავუშვებდით. ერედვი იყო და გამუდმებული თავდასხმები იყო იქვე ერედვში, იქვე ფრისის სასაფლაოებიდან და აქედან გამომდინარე, გავაკეთეთ რეაგირება. ერთი დაჭრილი ჰყავდათ და ტყის მასივს შეაფარეს თავი ამ დივერსიულმა ჯგუფებმა..... ჩვენ გვყავდა 8 დაღუპული უკვე, 8 დაღუპული გვყავდა, 8 დაჭრილი გვყავდა და 2 დაღუპული. 2 დაღუპული, რომელიც ავნევის საგუშაგოზე დაგვეღუპნენ სამხედრო მოსამსახურეები.

თავმჯდომარე.ბატონო მამუკა, აქ საუბარი არის იმაზე, ხომ, აი ,ეხლა დავაზუსტებ იმიტომ,რომ აქ არის საუბარი, რაც ქალბატონმა, თქვენ იწერთ ხო, ალბათ, შეკითხვებს და თუ არა, ვთქვათ, კარგით მაშინ, ხო. კი, ბატონო, არა, კი, ბატონო. აქ იყო დასმული ბატონი აკაკის კითხვა, დავაზუსტებ, აქ არის საუბარი იმაზე, რომ თქვენი ცნობილი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა ხდება. ჩვენ გუშინ დავუსვით უშიშროების საბჭოს მდივანს ეგ შეკითხვა და მან თქვა, რომ ეს განცხადება თქვენი არ იყო შეთანხმებული ხელმძღვანელობასთან, რომ თქვენ თვითონ გააკეთეთ ეს განცხადება. მე მინდა რომ, ამაში მდგომარეობს ბატონი აკაკის კითხვა, რატომ გააკეთეთ თქვენ ეს განცხადება, ვინმემ დაგავალათ ამ განცხადების გაკეთება, თუ თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ამ განცხადების გაკეთება.

მ.ყურაშვილი. ბატონო თავმჯდომარევ, ეს არ ყოფილა არავისთან შეთანხმებული და არავის დავალება მე არ მქონდა. ეს სიტუაცია რომ აიხსნას მე, ალბათ, უფრო, თქვენ ტელევიზიით, არ იცით, საომარი მოქმედებები, რა არის უშუალოდ, მონაწილე ბრძანდებით. მე ვიყავი ბრძოლიდან გამოსული უკვე, კანტუზია მქონდა იქიდან რომ გამოვედი. ჟურნალისტი, რომელიც მე დამხვდა უკვე კარალეთთან ჩამოვედი, გზაზე ვიდექი ,უბრალოდ, როდესაც ის შემომეყარა, ის ბრიფინგი მომზადებული არ იყო, შესაბამისად, მეც მომზადებული არ ვიყავი და გავაკეთე იმპულსური განცხადება. ეს იყო იმპულსური განცხადება, რომელსაც, სხვათა შორის, ძაან მომზადებული რომ ვყოფილიყავი, უფრო სხვანაირ განცხადებას გავაკეთებდი, რაც, სხვათა შორის, რამდენიმე წუთით ადრე კულახმეტოვთან მქონდა საუბარი და მქონდა ძაან დაძაბული ლაპარაკი იმიტომ, რომ დაღუპული ბიჭები ვერ გამოგვყავდა ავნევიდან და უკვე ჩემი მდგომარეობა იცოდა კარგად, იქ ნიქოზს, რა დღეც დააყარეს მისმა მოკავშირეებმა თვითონ მაგის საგუშაგოდან, იცოდა, მე რა მდგომარეობაშიც ვიყავი და იმიტომაც მოხდა, რომ ბატონ თემურთან მერე გადაამოწმა. ეს არ აღიქვა მან სერიოზულად და რაღაც აჩქარებულად განაცხადა.

თავმჯდომარე. გასაგებია. ქალბატონ ხათუნას კითხვა.

ხ.გოგორიშვილი. მე, უბრალოდ, გაგიმეორებთ. იყო თუ არა განსხვავება და ცვლილებები ურთიერთობებში–თქო ბოლო პერიოდში. რაიმეს მიანიშნებდა თუ არა?

მ.ყურაშვილი. ე.ი. 1 აგვისტოდან ამ კაცთან მქონდა გამუდმებული კავშირი სატელეფონო. შევხვდი. ბოლო შეხვედრა მქონდა 6–ში, მოვუწოდებდი, რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა. ეს უშუალოდ მანდატით იყო გათვალისწინებული მხარეები დაეშორებინა, ძალთა საშუალებები ყველაზე მეტი ჰქონდა მათ. იქ ტყუილია, რომ ვიღაცა არ ემორჩილებოდა და რაღაცა. ეს იყო სიტყვის გადატანა, უბრალოდ, არ უნდოდა თვითონ უგეგმავდნენ, თვითონ ახორციელებინებდნენ და ძალთა საშუალებებსაც თვითონაც აძლევდნენ.

მე გაგახსენებთ 2007 წლის 10 მაისს. ეს, ე.ი. დილის 11 საათზე იქ კულახმეტოვიც არის კადრში და გვერდზე შენიშნავთ მსუბუქ მანქანას ე. წ. "ბეემპე" საგუშაგო არის, ცხვირწინ დაულაგეს ბლოკები პირდაპირ. იქ ცალსახად იყო ნახსენები, რომ გზა უნდა ყოფილიყო თავისუფალი, ყველაფერი, იმიტომ იყო იქ სამშვიდობო. გზა მოსახლეობისთვის იყო თავისუფალი, გათავისუფლებული ყოფილიყო, თავისუფლად უნდა შეძლებოდათ გადაადგილება ადგილობრივ მოსახლეობას. მე როცა მოსახლეობაზე საერთოდ ვლაპარაკობ და ეხლაც, როცა ვიტყვი ჩემს შემდგომ გამოსვლებში, მე ოსებსაც ვგულისხმობ. მე არანაირი ის არ მქონდა ის.

ღამის 4 საათზე გავუღვიძებივარ ცხინვალში, შტაბში, ჩემი მანქანით ფეხმძიმე ქალი გამომიყვანია და ჩამომიყვანია გორში. ელემენტარული რაღაცა დაშავება, დაუზიანდებოდათ რაღაცა, ვერ მიჰყავდათ ვლადიკავკაზში, მოჰყავდათ გორში. არაფერი სხვაობა მაგითი არ იყო. ეს ხელოვნური შეფერხება დაეტყო სულ ყველას, როგორც ქართულ, ისე ოსურ მოსახლეობას. არ გააკეთა ამ კაცმა. აქედან გამომდინარე, კულახმეტოვის გადაწყვეტილებები, როგორც ასეთი, მიუხედავად იმისა, რომ, ესეთი კონფლიქტების დარეგულირება და ცეცხლის შეწყვეტას, ქალბატონო ხათუნა, სჭირდება ნება. მე ამ ნებას ვეღარ ვხედავდი უკვე. აი, 7–ში გამორიცხულია, აღარ იყო ასეთი ნება. მე მეუბნებოდა, რომ, ბოდიში, რუსულად ვიტყვი .... местных вождей нет. Те люди, которые эти вопросы решают, они через час подойдут. მე ვეუბნებოდი, რომ неужели ни одного нормального мужика в Цхинвали не нашлось, 7 რიცხვი არის ესა, რომელიც ამ .... что за безобразие... ერთი ბეემპე-ს დაქოქვა იყო საჭირო, პოზიციიდან გამოსვლა არ იყო საჭირო, რომ გამოეყვანა, რომ დაექოქა. . . . ტბასთან, დასავლეთით მაგათ საგუშაგო ჰქონდათ, 100 მეტრაში იყო ხეთაგუროვოს "ოპოლჩენიე" ჩამჯდარი სანგრებში. რომ გამოეყვანა, საერთოდ შეწყდებოდა სროლები და არანაირ, სროლებზე ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი. 7-ში ჩვენ 17 საათსა და 10 წუთზე შევწყვიტეთ ეს სროლა, როგორც შეთანხმება იყო, უნდა მხარეებს შეესრულებინათ. ჩვენ ჩვენი მხრივ შევასრულეთ. აქედან დაიწყო ინტენსიური სროლა, ბატონო თავმჯდომარევ. მე დღეს ვაღიარებ, რომ ჩემი მოთმინება ჩემს სისუსტედ მიიჩნიეს ამათმა. მე ვიძახი უკვე, სადაც წყდებოდა "პლანკები", აი ეს იყო "პლანკები" კონფლიქტის ზონაში, საიდანაც მოდიოდა ტყვიამფრქვევი, მსხვილკალიბრიანი, მოდიოდა უკვე 120 მმ-იანები, "დე-30"-ები. ჩვენ გვაქვს მონიტორინგის დასკვნა, საინტერესო არის ეს, თუ მოგეცემათ შესაძლებლობა, რომ დაუსვათ ესეთი კითხვა, მონიტორინგის დასკვნაში არის აღნიშნული, რომ სარაბუკის საგუშაგოზე, უშუალოდ სამშვიდობოების საგუშაგოზე გამოისროლეს "აეს-19", ეგრეთ წოდებული და T-55. ეს, საიდან მოხვდა ეს ტანკი კონფლიქტის ზონაში? 3 აგვისტოს ვიძახი მე ამას. დავუსვი ეს შეკითხვაც. ოსურ მხარეს უნდა ჰქონოდა კონსერვაციაზე, აი, ეს 22, თვითონ ამ სამშვიდობოებს, ეგრეთ წოდებულს ვგულისხმობ. დარბოდნენ ყველგან, კუსირეთში, მონასტერში, ფრისზე, ე.წ. იმაზე, ფრისის სიმაღლეზე ადიოდნენ, ყველასთან შეუთანხმებლად გამოდიოდნენ, უკვე პირდაპირ დიდმუხა მუგუთიდან ავნევის საგუშაგოს პოლიციელებს მოსვენებას არ აძლევდნენ, და უშუალოდ ბეემპე-ზე ვიძახი. აი ეს "პლანკა: გატყდა 3-ში. მიუხედავად მაგისა, ჩვენგან არ იყო არც რაღაცა დამატებითი, ჩვენ გვყავდა 13 ერთეული ბეემპე კონფლიქტის ზონაში. ერთადერთი მიზეზით და ერთადერთი შინაარსი შემრიგებლური პოზიცია იყო და არ უნდა გადასულიყო რაღაც დაძაბულობა და რაღაც პროვოკაცია, ვიღაცას არ უნდა ეხელთა ამითი. ნუ, 22-მდე მეც შემეძლო, ვთქვათ, ხომ, დამეკომპლექტებინა. სხვათა შორის, ერთი 7-ში აგვიფეთქდა ავნევის სიმაღლეზე იმიტომ, რომ იქ პირველი ზღუდე თავდაცვითი საერთოდ მოარღვიეს. იყო "ბალკებით", "შპალებით", სუყველაფერი, ყველა ნორმების დაცვით გვქონდა გაკეთებული, ამან გადაგვარჩინა ფაქტიურად. პირადი შემადგენლობა ბოლომდე იბრძოდა და გამოვედით 10 რიცხვში ჩვენ ავნევიდან სამშვიდობოები და მოსახლეობაც, შესაბამისად, უკვე ძალიან ძლიერი შემოტევა იყო. თვითონ ამაზე და უშუალოდ საცხოვრებელ ყაზარმას ურტყამდნენ. აი, ეს ფაქტია.

თავმჯდომარე.გთხოვ და მერე მე მექნება, ერთი შეკითხვა.

მ.ყურაშვილი. დიახ.

გ.გაბაშვილი. ასეთი აქტი, მინდა გადავამოწმო, რამდენიმე განცხადება იყო რუსი სამხედროების ომის შემდგომ, რომ სადაც ისინი ამბობენ, რომ მაშინ, როცა ქართველი სამშვიდობოები გავიდნენ ცხინვალიდან, ეს იყო უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ომი იწყება. მე მინდა ვიკითხო გამოვიდნენ თუ არა ქართველი სამშვიდობოები ცხინვალიდან და იყო თუ არა ეს პირველი ფაქტი, როცა ქართველ სამშვიდობოებს მოუწია ცხინვალიდან გამოსვლა. თუ ესკალაციის დროს, მანამდეც, შეიძლებოდა მომხდარიყო

ასეთი რამ. ეს ერთი. და მეორე. მინდა, ეხლა დავაზუსტო, თქვენ ბრძანეთ რა რიცხვამდე დარჩნენ ქართველი სამშვიდობოები კონფლიქტის რეგიონში, კერძოდ, ქართულ სოფლებთან გახიზვნამდე შეძელით გაჩერება სამშვიდობოების.

მ.ყურაშვილი. დიახ. ე.ი. რაც შეეხება პირველ კითხვას. ხშირი არ იყო ცხინვალის დატოვება, მაგრამ ესეთი ფაქტები იყო იმიტომ, რომ, უშუალოდ, შეურაცხყოფად, თავი, ვერ უზრუნველყოფდა სამშვიდობო კონტიგენტი თვითონ და უშუალოდ, კულახმეტოვის გენერალი უსაფრთხოებას. და იყო ფაქტი, როცა გამოდიოდა ძირითადი ბირთვი, მაგრამ ორი კაცი, ყოველთვის დატოვებული გვყავდა თვითონ შტაბში, შტაბი ბოლომდე ფუნქციონირებდა. ეს სიცრუე არის, ქართველები გამოვიდნენ და დაიძაბა იქ სიტუაცია. ქართველები, თვითონ ოფიცრები გამოვიყვანეთ, ბატონი თემური, იყო ჩვენი ბრძანებელი, როგორც მოგახსენათ 7 რიცხვში, იქ, რაღაც, დამატებითი გარანტიები უკვე ზედმეტი იყო ლაპარაკი, ვერავინ ვერ იძლეოდა. 5 კაცი მყავდა შტაბში, იმიტომ, რომ გაუთავებელი სროლები იყო. უშუალო, სამხედრო, უფროსი სამხედრო მეთაურიც უკვე ნიქოზში იყო, ორნი მონიტორინგის შედეგად რომ გამოვიდნენ და არ გაუშვეს უკვე ავნევისკენ, ნიქოზისკენ ამოვიდნენ და ორივე დავტოვე იმიტომ, რომ გარანტიები არ მქონდა, დამიხოცავდნენ მე ცხინვალში ამ ბიჭებს და 3 თვის წინათ გამოვიდნენ. ეს იყო 7 რიცხვი უკვე, ბატონი თემური რომ გამოვიდა, 17 საათი.

თავმჯდომარე. ბატონო მამუკა, თქვენ, როგორც შტაბის ხელმძღვანელმა, როგორც აღნიშნეთ, როცა ხედავდით, რომ სიტუაცია იძაბებოდა, როდესაც უკვე ფაქტიურად სროლები იყო პირველში, ორში, ოთხში, ხუთში, გქონდათ თუ არა თქვენ შემუშავებული გეგმა, იგივე, მოსახლეობის ევაკუაციასთან დაკავშირებით, განიხილავდით თუ არა ამ ვარიანტს, იგივე, შემოვლითი გზით გამოყვანასთან დაკავშირებით და თუ გქონდათ, ვის მიაწოდეთ და თუ არა, რატომ არ იყო ეს?

მ.ყურაშვილი. ალბათ, დახურულ სხდომაზე, უშუალოდ, ესეთი ოპერაცია, საბრძოლო ოპერაციასაც განიხილავს, თვითონ ევაკუაციას რაც შეეხება.

თავმჯდომარე. გეგმა იყო თუ არა?

მ.ყურაშვილი. ა,როგორ არა, არსებობდა, კი. უბრალოდ, თვითონ, უშუალოდ, როგორც ასეთი, რომ რაღაცა კატასტროფული დაცლა მოხდებოდა, ეგ ეხლა ძნელი ისე იყო, წარმოსადგენი, რომ ჩვენ ამხელა ძალა დაგვიპირისპირდებოდა და ასე, ხახადაღებულ რუსეთს შევხედავდით ჩვენ პირდაპირ, იგივე, ავნევის და სარბუკის საგუშაგოდან არავის არ ეგონა. ის, რომ უშუალოდ მოსახლეობას არ მოშორებია და ბატონი გოკას კითხვას, ამ კითხვაზე გავცემ პასუხს, რომ 10 რიცხვამდე საერთოდ საგუშაგოები არ დაგვიტოვებია. საგუშაგოს თავი დავანებოთ ბატონო ...

თავმჯდომარე. თქვენ 10–მდე იყავით იქ.

მ.ყურაშვილი. დიახ. უშუალოდ 7–ში უკვე სამშვიდობო პროცესი შეწყდა. პირდაპირ სიმართლე ვთქვათ, იქ ისეთი რაღაცეები ისროლეს იქ ზედმეტი იყო. მიუხედავად მაგისა, ბოლომდე, ჩვენ ჩვენი სამშვიდობო ძალები შევინარჩუნეთ, რა.

————დავაზუსტებ თუ შეიძლება. საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო სამშვიდობო ძალები?

მ.ყურაშვილი. არა.

——————ნუ, ეს მანდატი თქვენი იყო თუ არ იყო საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა სამშვიდობო . . .

მ.ყურაშვილი. მანდატით ე.ი. თვითონ დაგომისის და მოსკოვის ხელშეკრულებით თუ მოხდებოდა თავდასხმა საგუშაგოზე მე, დაშლა– განიარაღებაც და ლიკვიდაციაც შემეძლო. მე არავის არ დავსხმივარ თავს, თავდაცვაში ვიდექით.

მაგის გარდა კიდევ ერთი ამოცანა იყო. იყო ერთობლივი საგუშაგოები, ბატონო თავმჯდომარე. ამ ერთობლივ საგუშაგოებზე ქართული მხრიდან დამკვირვებლები იდგნენ. ამ დამკვირვებლებს არ დაუტოვებიათ ეს საგუშაგოები.

თავმჯდომარე. აქ დავაზუსტებ კიდევაც – აი, რუსები ძალიან ხშირად ავრცელებენ ასეთ ინფორმაციას, თითქოსდა რუსული სამშვიდობო ბატალიონი იყო განადგურებული და ამიტომ იყვნენ იძულებული რუსეთის

შეიარაღებული ძალები შემოსულიყო. იყო ასეთი?

მ.ყურაშვილი. სიცრუეა ეგ.

თავმჯდომარე. ხო, აი, ეგ უნდა დავაზუსტოთ.

მ.ყურაშვილი. ეგ ყველაფერი სიცრუეა, ბატონო თავმჯდომარე. მე რას შევხედე ჩემი თვალებით, რასაც ვუყურე, რუსული ავიაცია ურტყავდა მაგათ საგუშაგოებს. სიმართლეს გეუბნებით. რასაც მე ვუყურებდი იქ და მე ასეთი, ბევრი რამ მინახია, მე ასეთი რაღაცა არ მინახია, ამდენი საბრძოლო გაფრენა, ქალაქ ცხინვალზე მაშინაც განხორციელდა.

თავმჯდომარე. ბატონ დიმიტრის ვთხოვ.

დ.ლორთქიფანიძე. დემოკრატიული გარემოებების განხილვაზე გადავიდეთ თქვენის ნებართვით, ბატონო მამუკა. გთხოვთ კონკრეტულ პასუხებს.

თქვენ ბრძანეთ, რომ ძარის გზა იყო უკონტროლოდ დატოვებულიო. მე მაქვს ინფორმაცია, რომ წელიწადი და 6 თვის წინ იქ უკვე ოსი და რუსი, ასე ვთქვათ, შეიარაღებული შენაერთები აკონტროლებდნენ. კონკრეტულად თამარაშენის ე.წ. "პოსტზე" მაქვს საუბარი, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ანუ, ჩემი შეკითხვის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს, რამდენი ბლოკპოსტი იყო რომელზეც კონტროლირდებოდა, რომელიც კონტროლირდებოდა ქართული შენაერთების მიერ 2004 წლამდე? როგორ გაიზარდა ბლოკპოსტების რაოდენობა, ვის სასარგებლოდ გაიზარდა ბლოკპოსტების რაოდენობა და მიუძღვის თუ არა გარკვეული წვლილი ამაში სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში? ჯერ ამ კითხვაზე და მერე კიდევ დაგისვამთ შეკითხვას.

მ.ყურაშვილი. ნუ, ეხლა მე პირდაპირ გიპასუხებთ. მე სამხედრო ვარ და პოლიტიკოსი არა ვარ, ეხლა მე რაღაც შეფასება გავაკეთო ვის რა ეკუთვნოდა. . . .

დ.ლორთქიფანიძე. პოლიტიკური შეფასების გაკეთებას არ გთხოვთ, გთხოვთ, მე გეუბნებით ვინ მონაწილეობდა კონკრეტულად მოლაპარაკებებში, რომლითაც თუნდაც მეღვრეკისის საგუშაგო გაიხსნა. ამას გეკითხებით.

მ.ყურაშვილი. მე მაგ დროს არ ვიყავი იქ დანიშნული, არ ვიცი.

დ.ლორთქიფანიძე. თუ გაქვთ ინფორმაცია?

მ.ყურაშვილი. არა. 2007 წელს დავინიშნე მე პირველ . . .რაც შეეხება ზარის გზას, ეს გუშინდელი პრობლემა არ იყო, ეს თხუთმეტი წელია აკონტროლებენ მაგას და ისე ჰქონდათ, რომ 2004 წლის მერე, კი, როგორ არა, იქ მონასტერი , დაამატეს 4 საგუშაგო ოსებმა. მე რაც ვნახე, მე შტაბის უფროსად ვიმუშავე მანდ 2005 წელს, მერე 6 თვის განმავლობაში მომხსნეს თანამდებობიდან და 2007–ში რომ ჩავედი, გარკვეული საგუშაგოები უკვე დამატებული იყო. ერთობლივ საგუშაგოებზე იყო 7 საგუშაგოზე ეს ჩვენი უფროსი დამკვირვებლები, ჩვენი დამკვირვებლები უშუალოდ, უფროსი დამკვირვებელი ცხინვალიდან გამოდიოდა და ამოწმებდა, დანარჩენი ახლა იქ მონასტერზე და ეკლესია უკვე ფრისიზე უშუალო ოსური საგუშაგო, რომელიც იყო, ე.წ. სამშვიდობოების, იქ ქართველი დამკვირვებლები არ იდგნენ.

დ.ლორთქიფანიძე.დავამატებ თუ შეიძლება შეკითხვას. ცნობილია, რომ რეგიონში იყო სამი სტრატეგიული სიმაღლე, თრიაყანა, წვერიახო და ფრისის სიმაღლე.

მ.ყურაშვილი. დიახ.

დ.ლორთქიფანიძე.ჩვენი შენაერთები სამივეზე იმყოფებოდნენ თუ არა, ბლოკპოსტებზე განლაგებული?

მ.ყურაშვილი. მოგახსენებთ. ე.ი. წვერიახოზე იმყოფებოდა ჩვენი ოცეული. თრიაყანას, რაც შეეხება, იყო ეს თავდაცვითი ზღუდეა, ეს იყო პლაცდარმი. აი, უშუალოდ მონიტორინგში აღნიშნული გვაქვს, მოვითხოვეთ, ავედით, კილომეტრი ჰქონდათ გათხრილი, ძირითადი ძალები რომ შემოსულიყვნენ და თავს დასხმოდნენ მერე ხეობას. აი, ესე ჰქონდათ ამათ გაკეთებული. თრიაყანაზე არ გვქონია არასდროს პოზიცია. თრიაყანაზე პოზიცია კი არა, მონიტორინგი შეუძლებელი იყო, ბატონო პარლამენტარებო. აი, რომ

ასულიყავით და მონიტორინგი, არ მაძლევდნენ მე ამის საშუალებას, თუმცა მანდატი იძლეოდა ამის საშუალებას, არ მიშვებდა ის კაცი. ყველაფერს, რაღაცას იმიზეზებდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ფორსიფიკაციული სამუშაოები ჩვენ თვალს არ ენახა და ეს იყო უშუალოდ დაკვირვება, აღმოსავლეთით ხეობას ე.ი. თრიაყანა, აქედან მონასტერი. 7 რიცხვში ბატონ დიმას რეზიდენციის შორიახლოს რაც იყო სულ აქედან დაიწყეს დაბომბვა და ყველაფერი ისროლეს თუ კი ხელთ არსებული იყო და წარმოიდგინეთ ახლა, მე სულ შეჩვეული ვიყავი და ჩემ თავს ყოველთვის მშვიდობისთვის და სიტუაციის განმუხტვისთვის ვამზადებდი, იმიტომ უფრო აღელვებული ვარ და ბოდიშს გიხდით. აი, ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ახლა დ– 30, 120–იანი , ბატარიის ყოლა 82 მმ–ანები შეიძლებოდა ყოფილიყო კონფლიქტში, მაგრამ ბატარია არ უნდა ყოფილიყო, აი, თითო, არ შეიძლებოდა დაჯგუფება საარტილერიო რომ შექმნილიყო.

დ.ლორთქიფანიძე. თუ შეიძლება, კიდევ დავაზუსტებ. თუ ჩამოვყვებით, ეხლა მე გეოგრაფიულად მინდა წარმოვიდგინო და ისე დაგისვათ საკითხი. ჯავის ხეობიდან პირველი ქართული სოფელი, რომელიც გვხვდება, ეს გახლავთ კეხვი. იქვე იყო ოსურ–რუსული პოსტი ითრაფისის სახელწოდებით. ხომ არ ვცდები?

მ.ყურაშვილი. კი.

დ.ლორთქიფანიძე.ითრაფისი. ე. ი. კეხვის პოსტზე იყვნენ ქართველი, ჩვენი სამშვიდობოები, ხოლო ითრაფისზე იყვნენ რუსი და ოსები. აი, თუკი ჩვენს სამშვიდობოებს ერქვათ შერეული სამშვიდობო მანდატის მატარებელი შეიარაღებული ფორმირებები, რატომ ვერ ახერხებდით, ვთქვათ, ითრაფისზე განგეხორციელებინათ ერთობლივი პატრულირება.

მ.ყურაშვილი. მოგახსენებთ. ე. ი. თქვენს შეკითხვაზე პასუხი არის ესეთი, რომ ამაზე აპელირებას აკეთებდნენ "ესკაკას" სხდომაზე. ეს უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი თანათავმჯდომარეების მხრიდან და უფრო მინდა, რომ ამომწურავად გიპასუხოთ. ეს დაუძლეველი პროცესი იყო. აი, ქართული მხარის დასმულ კითხვას, საკითხს, ერთი მხარე დაეთანხმებოდა, მეორე გიგდებდა.

თავმჯდომარე. თანხმობას არ იძლეოდა ეს ორი მხარე.

მ. ყურაშვილი. გამორიცხული იყო.

დ.ლორთქიფანიძე ეს ფიქსირდებოდა?

მ. ყურაშვილი. რა თქმა უნდა, "ესკაკას" მთელი დადგენილებები და

დოკუმენტები არსებობს მაგისი, რომ ეს პროტოკოლით . . .

დ.ლორთქიფანიძე.მე ვგულისხმობ, ქართული მხარის პროტესტს, თუ ფიქსირდებოდა ოფიციალურ დოკუმენტზე.

მ. ყურაშვილი. კი, ცალსახად.

დ.ლორთქიფანიძე.რომელი დოკუმენტი შეგიძლიათ დამისახელოთ, რომელ დოკუმენტშია დაფიქსირებული პროტესტი აღნიშნულთან დაკავშირებით.

მ.ყურაშვილი. "ესკაკას" სხდომებში, ბოლოს, მაისის თვეში იყო კიდევ, პროტესტს როცა . . .

დ.ლორთქიფანიძე.მე ვგულისხმობ, ამ შემთხვევაში, ბატონო მამუკა, საერთაშორისო ინსტიტუტებს. თუ სადმე ფიქსირდებოდა, იგივე ეუთოს . . .

მ.ყურაშვილი. კი, იყო. თვითონ, მონიტორინგის დასკვნები, სადაც ვერ ავუდიოდით, თვითონ მონიტორინგის . . .

დ.ლორთქიფანიძე.თქვენ შეგიძლიათ, მომავალში წარმოუდგინოთ კომისიას ამის შესახებ?

მ.ყურაშვილი. აუცილებლად. ეხლა, ამ წუთისთვის ელექტრონული ვერსია შემიძლია მოგაწოდოთ.

დ.ლორთქიფანიძე.გასაგებია, კეთილი.

ლ.ვეფხვაძე. ისევ რომ დავუბრუნდეთ 7 აგვისტოს და შემდგომ პერიოდს, მე მაინტერესებს ესეთი კითხვა. თქვენ თქვით, რომ სამშვიდოები და თქვენ, არ ერეოდით უშუალოდ, თქვენზე არ იქნებოდა მიტანილი იერიში. თუ გქონდათ 7–ში საღამოს მიღებული რაიმე ინსტრუქცია ან 8–ში, რა, ანუ რას აკეთებდით თქვენ მაშინ, როცა მოხდა შეიარაღებული ნაწილების გადაადგილება კონფლიქტის მიმართულებით? თქვენ რა ფუნქცია გეკისრებოდათ, თქვენ რა უნდა გეკეთებინათ? ანუ თუ ვინმე დაგიკავშირდათ და მოგაწოდათ თუ იყავით ხაზზე, ესე ვთქვათ, გენერალურ შტაბთან და კონკრეტულად, ვინ გაძლევდათ დავალებებს კონკრეტული ფუნქციის განხორციელებისთვის?

მ.ყურაშვილი. გენერალი გოგავა. უშუალო ჩემი მეთაური იყო. ამოცანა იყო დასმული, ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა. სამშვიდობო ბატალიონის ფუნქცია, ამითი, უკვე შეზღუდული იყო იმიტომ, რომ ჩვენ, გადაჭარბებული ძალა იყო უკვე 7 რიცხვში, ისე უტევდნენ, რომ ჩვენ, რაღაც მანევრის გაკეთება, ფრონტი 70 კმ–ზე იყო უკვე გადაჭიმული, 500 კაცს, ვერ, მაქსიმალურად შენარჩუნებული გვქონდა ეს პოზიციები, რომ მოსახლეობა გადაგვერჩინა ბოლო წუთამდე ვასრულებდით ამ ყველაფერს 10 რიცხვამდე.

ლ.ვეფხვაძე. და დატოვების შესახებ ბრძანება, რომ გამოსულიყავით, ვისგან მიიღეთ?

მ.ყურაშვილი. საერთო ბრძანება იყო 10 რიცხვში გამოვედით ჩვენ.

ლ.ვეფხვაძე. ა, საერთო ბრძანება მიიღეთ თქვენც.

მ.ყურაშვილი. კი, ხომ არ დავტოვებდით მოსახლეობას.

ლ.ვეფხვაძე. კარგით, კიდევ ერთი კითხვა მაქვს, თქვენი განცხადების შემდეგ, რომელზეც თქვენ თქვით, რომ იყო იმპულსური და იყო შეცდომა, იმიტომ, რომ ეს იყო იმპულსური. თუ ვინმე დაგიკავშირდათ ან იმ დღეს, ან მეორე დღეს და თუ გითხრათ, რომ ეს იყო შეცდომა და თქვენ ეს არ უნდა გაგეკეთებინათ.

მ.ყურაშვილი. მე საყვედური მივიღე, გაერთიანებულ შტაბში, მაგის გულიზა, რომ...

თავმჯდომარე. ბატონო მამუკა, თქვენ იძახით რომ 10 რიცხვამდე იყავით კონფლიქტურ ზონაში, შემდგომ დატოვეთ. ზუსტად 10 რიცხვის შემდეგ, მე ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ საზოგადოებაში იყო ეს კითხვა, ჩნდებოდა ასეთი კითხვა, რომ ბატონი ყურაშვილი დაკავებულია, დაჭრილია, და არ იყო ოფიციალურად თქვენი პოზიციის, ვთქვათ, დაფიქსირება იმ დღეებში. გთხოვთ, გვითხრათ, სად იყავით იმ დღეებში და რა მდგომარეობაში ბრძანდებოდით.

მ.ყურაშვილი. ესე იგი, 10 რიცხვიდან უკვე თვითონ მართვის პუნქტი, ეს შტაბი გადმოვიყვანეთ უკვე ჩვენ სათადარიგო შტაბში, ფონიჭის სკოლაში, სპორტულ დარბაზში, შემდგომ ჩამოვედით უკვე გორში, და უშუალოდ მერე უკვე დახურულ სხდპმაზე გეტყვით უკვე. არტილერიის ბრიგადასთან ერთად ვიყავი უშუალოდ. სადაც 13 რიცხვში გამოვედი მე გორიდან, და ვიყავი დისლოკაციის ადგილას, უკვე ბრძანება როგორც იყო. პირველი დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ კანტუზია მქონდა, ეს 20 დღე ვერ დავიცავი, და თავის ტკივილები დამიტოვა.

თავმჯდომარე. ა,ფაქტიურად, თქვენ იყავით დაჭრილი.

მ.ყურაშვილი. დიახ, დაკავება, დეზინფორმაცია იყო.

თავმჯდომარე. ხომ, ეს მინდა რომ საზოგადოებამ იცოდეს. ბატონო მამუკა, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ, გუშინ უშიშროების საბჭოს მდივანმა ხაზი გაუსვა, და სახელმწიფო მინისტრმაც იმ ბრძანებას, რა ბრძანებებიც იყო მიღებული, და ამ ბრძანებებისდა მიხედვით არ იყო გათვალისწინებული ცხინვალში შეიარაღებული ძალების შესვლა. იყო ბრძანება საცეცხლე წერტილების ჩაქრობა, მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტისაგან. როგორ იყო ეს ბრძანება შესრულებული, თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ იყო, რატომ შევიდა შეიარაღებული ძალები და თუ შევიდა თუ არა ქალაქ ცხინვალში.

მ.ყურაშვილი. ბატონო თავმჯდომარე, აი ახლა, 17 საათზე გაერთიანებული შტაბის უფროსი მოვა, უფრო კონკრეტულ პასუხს გაგცემთ. ჩემ მისიას სუფთა სამშვიდობო იყო.

თავმჯდომარე. ...არა, მე ...

მ.ყურაშვილი.... იქ თითონ უშუალოდ სადაც პოზიციები იყო, ეს იყო ყოფილი ადმინისტრაციული საზღვარი ძაან არის თვითონ...

თავმჯდომარე. არა, ბატონო მამუკა, მე ეს კითხვა, რა თქმა უნდა, დასმული იქნება იგივე გენშტაბის უფროსთან, ამაზე არ არის საუბარი, თქვენი პოზიციაც, როგორც სამშვიდობო შტაბის ხელმძღვანელს, იმიტომ ვსვამ ამ კითხვას.

მ.ყურაშვილი. ჩვენ რაც მოდიოდა საცეცხლე წერტილს ვაქრობდი უკვე ისეთი საფრთხე . . .

თავმჯდომარე. გასაგებია უკვე. შეთანხმების პერიოდი, გასაგებია.

მ.ყურაშვილი. ეს, ავტომატის სროლა თქვენ იცით, ომი გამოვლილი გაქვთ.

თავმჯდომარე. ბატონ, დიახ.

გ.თარგამაძე. ბატონო მამუკა, მე მაინტერესებს, თქვენი დამკვირვებლები იდგნენ ათამდე შეიარაღებულ პოსტებზეც ხომ?

მ.ყურაშვილი. დიახ.

გ.თარგამაძე. აი, იმ პოსტებს, რომლებიც უშუალოდ საბრძოლო

მოქმედებების ზონაში არ იყო, მაგრამ, ვთქვათ, იყო ქართულ ტერიტორიაზე, რა მოუვიდა? ანუ დარჩა ვინმე, თავდასხმა მოახდინეს თუ ისინი ჩვეულებრივად მუშაობენ?

მ.ყურაშვილი. საინტერესო კითხვა არის, გმადლობთ ამ კითხვისთვის, ბატონო გივი. მე მინდოდა, ეს გამომრჩა და უბრალოდ, საგუშაგოებზე დამკვირვებლები გვახსენებდნენ და ჩვენც შესაბამისად შტაბს ვახსენებდით უკვე, აი, ეს ინტენსიური სროლები რომ იყო, რომ რუსული სამშვიდობოები, რომელიც დომინირებულ სიმაღლეზე იყვნენ და იქ ჩვენი დამკვირვებელი იყო, უკვე კორდინატებს აძლევდნენ, კორდინატებს იძლეოდნენ. ეს იყო პოლიციურ ქვეგანაყოფზე და სამშვიდობოზე. 7 რიცხვისთვის ესეთი ინფორმაცია მოდიოდა და მერე დაიწყეს ეტაპობრივად, ეხლა ხეობაში სიღრმეში რაც იყო ის დადგნენ იქ. მე საქტორი თვითონ როგორც ასეთი ზემო ნიქოზში, როგორც მოგახსენეთ, იყო "ვერხნი გარადოკი", ვხედავდი იმ სექტორს საიდან იყო, მაგრამ პასუხს ვერ ვცემდი იმიტომ, რომ რუსები იყვნენ. სხვათა შორის, ბატონმა თემურმა აღნიშნა, რომ კულახმეტოვს თურმე აღსარება უთქვია, რომ იქ с подтишка стреляли. ეს ძალიან ხშირი მომენტი იყო, რომ მერე საფუძველი ყოფილიყო ჩართვის. სადღაც 9 რიცხვიდან უკვე ნელ–ნელა, 9 რიცხვიდან მეღვრიკისი უკვე გავიდა, რაც უშუალოდ ისე შემოჭრილი საგუშაგო იყო. დანარჩენი იქ სიღრმეში, რა ვიცი, საგუშაგოებზე რომ განთავსდნენ იმიტომ დამკვირვებელი მოიხსნა უკვე ამ დროისთვის.

დ.ლორთქიფანიძე. კიდევ ერთი შეკითხვა ....

მ.ყურაშვილი. დიახ.

დ.ლორთქიფანიძე. მაქვს, ბატონო მამუკა თქვენთან. რა კონტიგენტისგან შედგებოდა ქართული სამშვიდობოთა შენაერთები, შენაერთი. იყო ეს, ვთქვათ, საკონტრაქტო სამსახური თუ ეს იყო ჩვეულებრივი წვევამდელების რეჟიმი.

მ.ყურაშვილი. დიახ.

დ.ლორთქიფანიძე. და რა დანაკარები განიცადეთ კონფლიქტის პერიოდში.

მ.ყურაშვილი. ესე იგი, ბატალიონი იყო პირველი ბრიგადის მე–11 ბატალიონი იყო კონტრაქტით დაკომპლექტებული. ჩვენ დაჭრილების სახით უკვე უფროს სამხედრო მეთაურთ თუ მივათვლი იყო 12 კაცი დაჭრილი და აი, ეს, ეხლაც ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, 2 კაცი მყავდა დაღუპული. ავნევის სიმაღლეზე იყო, გააფთრებული შემოტევა იყო, ვეუბნებოდი, რომ შეყუჟულიყვნენ ყველანაირად და არანაირად პასუხი არ გაეცათ. ეს უბიათის მხრიდან ხეთაგუროოვო, აქედან დიდმუხა, მუგუთი, უკვე აუტანელი სიტუაცია იყო და

თვითონ ეს ბეემპე რომ დაგვიზიანეს მანდ დამეღუპა სიმაღლეზე ბიჭები.

დ.ლორთქიფანიძე. კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს. ჩემთვის როგორც ცნობილი გახდა ხეთაგუროვო, ცნობილი სოფელი ხეთაგუროვო არის იგივე სოფელი წუნარი.

მ.ყურაშვილი. წუნარი გვერდზეა.

დ.ლორთქიფანიძე. ხეთაგუროვო სხვა არის, წუნარი სხვა არის?

მ.ყურაშვილი. დიახ.

დ.ლორთქიფანიძე. აი, ეს არის ოსური სოფლები ორივე, ხომ, ბატონო მამუკა?

მ.ყურაშვილი. კი. ქართულო სოფელი იყო და მერე დაარქვეს ესე. იქ ეკლესიაც იყო, ესე ცოტა გადახრილი იყო და . . . დაერქვა წუნარი.

დ.ლორთქიფანიძე.კომფლიქტის დაწყებას ....

მ.ყურაშვილი.ოსებმა დაიბრალეს, რომ თავისი სოფელია.

დ.ლორთქიფანიძე.კონფლიქტის დაწყების მომენტისთვის, იყო თუ არა ევაკუირებული ოსი მოსახლეობა ამ ორი სოფლიდან, თუ შეგიძლიათ , რომ მითხრათ.

მ.ყურაშვილი.ჩვენ რას თვალს ვადევნებდით, როცა უკვე ე.ი. ეხლავე მოგახსენებთ.

დ.ლორთქიფანიძე. მე აგიხსნით რატომ გისვამთ ამ კითხვას, რომ ეს არის ორი დიდი სოფელი, რომელიც უშუალოდ ცხინვალის მიდამოებში მდებარეობს. მათ უნდა ცოდნოდათ თუ არა იმის შესახებ, რომ, ვთქვათ, რაღაც კონფლიქტური სიტუაცია შეიძლებოდა ყოფილიყო იქ და დატოვეს თუ არა კონფლიქტამდე ეს მაინტერესებს. თქვენი მონიტორინგის, დაკვირვების . . .

მ.ყურაშვილი.განსაკუთრებულ დაკვირვებას არ მოითხოვდა. ეს ტელევიზორით აჩვენეს იქ როგორ გაჰყავდათ და უშუალოდ საგუშაგოდან ჩანდა, როგორ გადიოდა ხეთაგუროვოდან. ეს სიცრუეა, აი ეს ლავროვის ნათქვამი, რომ . . .

დ.ლორთქიფანიძე. არა მხოლოდ ცხინვალიდან, არამედ სოფლებიდანაც გადიოდა მოსახლეობა.

მ.ყურაშვილი.რა თქმა უნდა. ეხლა ყველანაირად გაჰყავდათ და არანაირი მძინარე ქალაქი არ იყო. აქ დინამიკა მოიხსენიეთ, მოვახსენეთ უკვე, მომხსენებლები იყვნენ და არანაირი მძინარე ქალაქი არ იყო ეს, თავის მოტყუებაა ეხლა, როგორ შეიძლება, რა, ყველაფერს გვესროდნენ, ისეთ დღეში გაატარეს და ისეთი წნეხი იყო სამშვიდობოებზე და პოლიციელებზე. აგერ არის ავნევის მოსახლეობაც და რა ვიცი.

თავმჯდომარე. ბატონო მამუკა, დააზუსტეთ. ე.ი. 7 აგვისტოდან გასაგებია, არის, მაგრამ კიდევ ერთხელ რომ დავაზუსტო, აი, ინტენსიურობა ცეცხლის, დაიწყო 1–ლი, 2 და 3 ხო, უფრო ესეთი დაბომბვა და დღეები გვაინტერესებს ძალიან. ინტენსიურობის მომენტი, 1–ლი, 2, 3, როგორც ჩვენ მოგვახსენა სახელმწიფო მინისტრმა.

მ.ყურაშვილი. პირველ აგვისტოს დაიწყო ე.ი. 8 საათსა და 45 წუთზე, 2–ში იყო დღის განმავლობაში სროლები, 3 აგვისტოს, ბატონო თავმჯდომარევ, იყო სროლები, 5 აგვისტოს 19 საათზე დაიწყო, 20 საათზე მორჩა სროლები და უფრო 7 აგვისტო რომ განვიხილოთ, უფრო ძირითადი მასა საიდანაც მოდიოდა ესეთი, ე.ი. 2 საათზე უკვე დაღუპული მყავდა მე ამ საგუშაგოზე, ავნევის. 7 აგვისტოს, ე.ი. განახლდა სროლა 7 აგვისტოს გამთენიას პირველის 15 წუთზე. განახლდა, შეწყდა და მერე განახლდა 11 საათზე სროლები...

თავმჯდომარე. ინტენსიური და ძალიან სერიოზული იყო მათი მხრიდან.

მ.ყურაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. მე უნდა გთხოვოთ, რომ თუ შეიძლება რომ ეს დოკუმენტები მერე ჩვენ გადმოგვცეთ ან თუ

გინდათ, მოამზადოთ პაკეტი და 2–3 დღის განმავლობაში რომ გვქონდეს, იმიტომ, რომ ეს დასკვნაში უნდა აისახოს, რომ იგივე ოქმებში, რომელიც სამშვიდობოების მიერ დგინდებოდა, რომ ეს ინტენსიურობა სროლების, დაფიქსირებული იყოს.

მ.ყურაშვილი. ერთს დაუმატებ, ბატონო თავმჯდომარევ, თქვენის ნებართვით, 7–ში მონიტორინგზე აღარ წავედი, ...

თავმჯდომარე. ხო, ეს გასაგებია, ახლა მე ვლაპარაკობ 7 –მდე ...

მ.ყურაშვილი. კი, ბატონო, ყველაფერს დოკუმენტაციას . . .

თავმჯდომარე.მაშინ ოქმში ჩაწერეთ, რომ დოკუმენტაცია გადმოცემული იყოს კომისიაზე.

მ.ყურაშვილი.მონიტორინგების სახით ყველაფერს მოგაწვდით. მერე 16 საათზე და 40 წუთზე, ეს 17 საათზე – ცნობილი ცეცხლის შეწყვეტა, 17 საათსა და 10 წუთზე – ბრძანება და შევწყვიტე მე. ისეთი უმისამართო სროლები მე არასდროს არ მქონია. მე დინამიკაში მომყავდა იქ სულ ყველაფერი, ავტომატით იყო სროლა თუ "აკაესით" იყო, რასაც ისროდნენ, იმითი ვაკავებდით ხოლმე ყოველთვის. 20 საათზე და 30 წუთზე, ნუ, სასწაული ხდებოდა. ეს 7 რიცხვი არის განსაკუთრებული დღე.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო მამუკა, როგორც ცნობილია, 2004 წლამდე ქართველი სამშვიდობოები შერეულ სამშვიდობოთა ფორმატში იმყოფებოდნენ, მუდმივი დისლოკავის ადგილი მათი იყო ცხინვალში. 2004 წლის მერე აღმოჩნდენ ნიქოზში. რა დირექტივის, რა ბრძანების საფუძველზე მოხდა, აი, ასეთი გაყოფა, დიფერენცირება? ქართველი სამშვიდობოები რატომ გამოეყვნენ შერეულ რეჟიმს და თუ ეს მაინც შერეულ ფორმატში გამოიხატებოდა მათი, ასე ვთქვათ, მონიტორინგი და მუშაობა რეგიონში, რატომ დაერქვა მას შერეული, როცა ფაქტიურად განცალკევებით გიწევდათ თქვენ მუშაობა?

მ.ყურაშვილი. ეს არასწორი ინფორმაციაა. ბატალიონი არასდროს ცხინვალში არ ყოფილა. იყო შტაბი, წარმომადგენლობა, ისევ რუსების შტაბის გვერდზე. ეს იყო 13–კაციანი შტაბი.

დ.ლორთქიფანიძე.დიახ, ვგულისხმობ შტაბის წარმომადგენლობას ცხინვალში.

მ.ყურაშვილი. კი, ცხინვალში იყო, ჩვეულებრივად. ბატალიონი ცხინვალში არასდროს არ ყოფილა, ყოველთვის ნიქოზში იყო.

დ.ლორთქიფანიძე. 2004 წლის მერეც დარჩა ეს წარმომადგენლობა შტაბის ცხინვალში?

მ.ყურაშვილი. რა თქმა უნდა. 2008 წლის 7 აგვისტოს გამოვიყვანე, ბატონი თემური ჩავიდა და ხალხი დაღუპული მყავდა და კულახმეტოვი გარანტიას ვერ მაძლევდა, გამოვიყვანე უკან.

დ.ლორთქიფანიძე. გასაგებია.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო, რა ჰქვია იმას, რა კითხვა იყო, თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენი მთავარი ფუნქცია 7–დან 10–მდე იყო მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა იმ რაიონებში, სადაც თქვენი წარმომადგენლობები იყო, ანუ ეს ბლოკპოსტები იყო განთავსებული. თუ იდგა საკითხი ან რატომ არ იდგა თუ არ იდგა, მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის დაწყებისა ან ქალების და ბავშვების მაინც, როცა 7–ში უკვე ასე გამწვავდა სიტუაცია სწორედ იმ პოსტებზე, სადაც ეს მოსახლეობა იყო?

მ.ყურაშვილი. უბრალოდ, შესწორებას შევიტან, 7 და 10–ში არ იყო აი, რაც მაგ მისიას ვასრულებ, იმ დღიდან იყო ეგ ჩემი ფუნქცია.

ლ.ვეფხვაძე. არა, განსაკუთრებულად კონფლიქტის დაწყების შემდეგ.

მ.ყურაშვილი. პერიოდულად ტოვებდა ხალხი უკვე. 7 რიცხვიდან ისეთი ინტენსივობა იყო და ის ხალხი გამოირჩევა თავისი გმირობით, იქ წარმოუდგენელი არის, სახლი ნახევრად დანგრეული იყო...

ლ.ვეფხვაძე. ანუ, აქ საუბარი, გასაგებია, აქ ორგანიზებულ გამოყვანაზე ქალების და ბავშვების.

მ.ყურაშვილი. იმ ფორმატში კულახმეტოვთან ერთად ხომ ვერ შევიმუშავებდი. ეს უკვე ისეთი პრეროგატივა იყო, რომ რაღაც განსაკუთრებული გეგმა, რომ გაგვეყანა, არ იყო. ახლა, მოსახლეობას წინასწარ აცნობო, უნდა იცოდნენ ეს სათადარიგო რაიონები, ეგეთი რაღაცა არ გვქონდა ჩვენ.

ლ.ვეფხვაძე. ანუ თქვენ არც რეკომენდაციით არ მიგიმართავთ გენერალური შტაბისთვის, რომ ან ხელმძღვანელობისთვის, რომ დასაწყებია სოფლებიდან ქალების და ბავშვების გაყვანა?

მ. ყურაშვილი. საომარი მოქმედება, როგორც ასეთი, არ იგეგმებოდა არასდროს, ახლა.....

ლ.ვეფხვაძე. არა, საომარი მოქმედებების შემდეგაა ლაპარაკი, 7-ის მერე თუ მიმართეთ ვინმეს, რომ აუცილებელია, იგივე 8-ში, დავუშვათ, ქალების და ბავშვების ორგანიზებული გაყვანა ამ სოფლებიდან.

მ.ყურაშვილი. ჩვენ ვართმევდით ჩვენი ძალებით თავს და აქედან გამომდინარე...

თავმჯდომარე. ფაქტიურად ჩანს, რომ გეგმა ევაკუაციის სამშვიდობოებს, მოსახლეობის არ იყო. ეს გენერალურ შტაბთან იქნება, ალბათ, ეს შეკითხვები. ალბათ, გაგვცემენ ამაზე პასუხს. და თუ ვინმეს აქვს კიდევ შეკითხვები ბატონ მამუკასთან, დავუსვათ.

მე მგონი, ბატონმა მამუკამ ამომწურავად მოგვახსენა, მოგვახსენა იმ საჯარო განცხადებაზე, რაც გაკეთებული იყო და მნიშვნელოვანი არის, რომ მოსახლეობამ იცოდეს, თუ რატომ მოხდა ამ განცხადების გაკეთება. ბატონი მამუკაც, როგორც ვხედავ, აცნობიერებს იმ მომენტსაც, რაც მოჰყვა ამ განცხადებას. ეს, რა თქმა უნდა, ასახული იქნება დასკვნაში. თუ რამე შეკითხვები არ არის მეტი, მე ვფიქრობ, რომ...(ხმა ადგილიდან) აღნიშნა ბატონმა მამუკამ, რომ ზეპირი გაფრთხილება მიიღო მაგასთან დაკავშირებით. ე.ი. თუ რამე შეკითხვები არაა, მე მგონი, ბატონ მამუკასთან მეტი შეკითხვები კომისიას არ აქვს. თქვენ რისი დამატება გსურთ, ბატონო მამუკა, ეგებ, ჩვენ ვერ დავსვით კითხვები და თქვენ ფლობთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც კომისიამ უნდა იცოდეს.

მ.ყურაშვილი. უბრალოდ, ქალბატონი ხათუნა მისვამდა კითხვას, არანაირი შეთანხმება და რაღაცა არავისთან არ მქონია.

თავმჯდომარე. გასაგებია. არა, ეს საკითხი გავლილია.

მ.ყურაშვილი. ჩემი მხრიდან დიდ მადლობას გიხდით, რომ მომიწვიეთ, მომეცა შესაძლებლობა, რომ ეს გაუთავებელი ჭორები რაღაცნაირად გამეფანტა. მიუხედავად ამისა, კომისიის მსვლელობის დროს ჩემს ხელთ არსებულ საბუთები, მზად ვარ, რომ ყოველთვის მოვიტანო. უშუალოდ, როცა გამომიძახებთ, გამოვცხადდე...

თავმჯდომარე. მაშინ ჩვენ ხვალ თქვენგან ველოდებით იმ დოკუმენტებს, რომელიც თქვენ გაქვთ მონიტორინგის სახით, რასაც აუცილებლად ავსახავათ დასკვნაში. დიდი მადლობა. კომისიის სხდომა დამთავრებული არის და კომისია მუშაობას გააგრძელებს 5 საათზე. გენერალური შტაბის უფროსის მოსმენა იქნება.